

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა -
თბილისი

2018 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

+ 995 322 604 406

*(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის
თარგმანი)*

შპს ბაქსეულის საერთაშორისო სკოლა – თბილისის პარტნიორებს*პირობითი მოსაზრება*

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ბაქსეულის საერთაშორისო სკოლა – თბილისის (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც აღწერილია ამ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4-ში მიწა და შენობები, წარდგენილია ბასს 16-ის გადაფასების მოდელის მიხედვით, რომლებიც ბოლოს შეფასებული იყო დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2011 წლის 31 დეკემბერს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მომხდარა საბაზრო მდგომარეობისა ან სხვა ფაქტორების მატერიალური ცვლილება, რასაც შეეძლო გამოეწვია აქტივების ხელახალი შეფასება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებებისთვის. ჩვენი აზრით, ხელმძღვანელობის დაშვებები არასწორია, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საბაზრო მდგომარეობა გარკვეულწილად შეცვლილია და ამასთანავე, 2011 წლიდან კომპანიას განხორციელებული აქვს მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები და სწორედ ამის გათვალისწინებით

გვარაუდობთ, რომ არის ფაქტორები, რომლებიც გამოიწვევდნენ მიწისა და შენობების ხელახალ შეფასებას, ისე რომ მათი მიმდინარე საბალანსო ღირებულება მატერიალურად არ განსხვავდებოდეს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული სამართლიანი ღირებულებიდან. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი ინფორმაცია კომპანიის მიწისა და შენობების სამართლიან ღირებულებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირება კომპანიის მიწისა და შენობების საბალანსო ღირებულებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ამასთანავე, ვერ განგვესაზღვრეთ ის თანხა, რომლის ელემენტებიც დაკავშირებულია ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებასთან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასთან და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებასთან, რაც გავლენას იქონიებს ძირითადი საშუალების ამ ელემენტების კორექტირებაზე.

ამასთანავე, კომპანიამ შეცვალა წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი სწავლის გადასახადთან დაკავშირებული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოთხოვნები. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, არის თუ არა კომპანიის მიერ განხორციელებული ცვლილებები უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სწავლის გადასახადის მოთხოვნების საწყის ბალანსებში გონივრული და მატერიალურად სწორი. სწავლის გადასახადის მოთხოვნების საწყისი ბალანსის ცვლილება, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში გავლენას ახდენს 2018 წლის 31 დეკემბრის თარიღით დასრულებულ საბოლოო ნაშთზე. ამრიგად, ჩვენ ვერ განგვესაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სწავლის გადასახადის მოთხოვნებთან დაკავშირებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას,

რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განხრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დაგვეგმოდეს არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბზე, აუდიტის გეგმაზე და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან ღამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 6 დეკემბერი

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბზე, აუდიტის გეგმაზე და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან დამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 6 დეკემბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შენიშვნა				
აქტივები				
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	492,613	336,409	299,263
მოთხოვნები	5	611,527	1,490,708	973,655
გადახდილი ავანსები	6	352,823	246,216	99,098
მარაგები		43,621	77,131	100,938
გაცემული სესხები		34,000	-	-
		1,534,584	2,150,464	1,472,954
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	4,244,614	4,120,176	3,663,786
		4,244,614	4,120,176	3,663,786
სულ აქტივები		5,779,198	6,270,640	5,136,740
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>საწესდებო კაპიტალი</i>				
გადაფასების რეზერვი		2,000	2,000	2,000
აკუმულირებული მოგება/ზარალი		759,547	816,840	874,134
		1,338,387	1,040,737	106,962
		2,099,934	1,859,577	983,096
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
საეჭრო ვალდებულებები		80,599	540	121,010
საკონტრაქტო ვალდებულებები		202,876	586,390	258,230
გადავადებული შემოსავალი სწავლის გადასახადიდან		1,891,440	1,890,674	1,426,259
მოკლევადიანი სესხები	9,20	347,498	400,173	538,761
საგადასახადო ვალდებულებები		16,645	23,950	24,423
გადასახდელი მოგების გადასახადი		6,374	-	-
		2,545,432	2,901,727	2,368,683
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
გრძელვადიანი სესხები	9,20	1,133,832	1,509,336	1,784,961
		1,133,832	1,509,336	1,784,961
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,779,198	6,270,640	5,136,740

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 6 დეკემბრის:

ალექსანდრე ვაშაკიძე
დირექტორი

მეგი კარანაძე
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი		2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი		
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	492,613	299,263
მოთხოვნები	5	611,527	973,655
გადახდილი ავანსები	6	352,823	99,098
მარაგები		43,621	100,938
გაცემული სესხები		34,000	-
		1,534,584	1,472,954
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,244,614	3,663,786
		4,244,614	3,663,786
სულ აქტივები		5,779,198	5,136,740
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გადაფასების რეზერვი		759,547	874,134
აკუმულირებული მოგება/ზარალი		1,338,387	106,962
		2,099,934	983,096
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		80,599	121,010
საკონტრაქტო ვალდებულებები		202,876	258,230
გადავადებული შემოსავალი სწავლის გადასახადიდან		1,891,440	1,426,259
მოკლევადიანი სესხები	9,20	347,498	538,761
საგადასახადო ვალდებულებები		16,645	24,423
გადასახდელი მოგების გადასახადი		6,374	-
		2,545,432	2,368,683
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9,20	1,133,832	1,784,961
		1,133,832	1,784,961
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,779,198	5,136,740

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 6 დეკემბრის:

ალექსანდრე ვაშაკიძე
დირექტორი

მეგი კარანაძე
ფინანსური დირექტორი



თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა		
შემოსავალი			
სწავლის გადასახადი		3,557,967	3,039,279
ვაუნერი		183,340	172,342
ზამთარ/ზაფხულის ბანაკის მიღებული დაფინანსება		764,135	721,323
ზამთარ/ზაფხულის ბანაკის ხარჯები დაფინანსებული მოსწავლეების მიერ		35,800	198,470
სხვა შემოსავალი		71,370	217,261
მთლიანი შემოსავლები		4,612,612	4,348,675
ადმინისტრაციული ხარჯები			
ხელფასები და პონორარები		(1,535,161)	(1,288,432)
საოპერაციო იჯარის ხარჯები		(108,000)	(123,115)
საწვავი და ტრანსპორტირება		(237,292)	(341,785)
სასწავლო ინვენტარი		(277,602)	(248,775)
სკოლის მოსწავლეების საკვები		(187,771)	(193,674)
საზაფხულო ბანაკის საკვები ბავშვებისთვის		(55,807)	(127,491)
საზაფხულო სკოლის ხარჯები	10	(440,945)	(65,898)
კომუნალური ხარჯები		(53,599)	(87,568)
უიმედო ვალების ხარჯი		(73,460)	(316,310)
სხვა საერთო ხარჯები	11	(585,378)	(366,597)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		(12,097)	-
		(3,567,112)	(3,159,645)
საპროცენტო ხარჯი		(118,624)	(142,056)
ცვეთა		(368,906)	(318,165)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)	12	(65,294)	147,672
		(552,824)	(312,549)
მოგება დაბეგვრამდე		492,676	876,481
მოგების გადასახადი		(6,374)	-
წლის წმინდა მოგება		486,302	876,481

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	2,000	874,134	106,962	983,096
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	-	876,481	876,481
გადაფასების რეზერვის გადანაწილება გაუნაწილებელ მოგებაში	-	(57,294)	57,294	-
	-	(57,294)	933,755	876,481
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	-	-
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	2,000	816,840	1,040,737	1,859,577
ფასის 9-ის დანეგრების გავლენა	-	-	(245,945)	(245,945)
2018 წლის 1 იანვარი	2,000	816,840	794,792	1,613,632
მოგება/(ზარალი) წლის განმავლობაში	-	-	486,302	486,302
გადაფასების რეზერვის გადანაწილება გაუნაწილებელ მოგებაში	-	(57,293)	57,293	-
	-	(57,293)	543,595	486,302
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
დივიდენდები	-	-	-	-
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	2,000	759,547	1,338,387	2,099,934

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
სწავლის გადასახადიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,679,879	3,184,742
ვაუჩერებიდან მიღებული ფულადი სახსრები	183,340	172,342
წრებიდან და სპორტული აქტივობებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,632	9,491
სასწავლო წიგნების გაყიდვიდან მიღებული ფული	6,820	18,225
ზამთარ/ზაფხულის ბანაკებიდან მიღებული ფულადი სახსრები	800,785	874,073
სხვა მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	260,699	9,477
საქონელსა და მომსახურებაში გადახდილი ფულადი სახსრები	(2,353,160)	(2,056,993)
გადახდილი ხელფასები	(1,705,560)	(1,360,708)
გადახდილი გადასახადები	(5,881)	-
საბანკო მომსახურება	(1,669)	(7,004)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>869,885</i>	<i>843,645</i>
<i>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(81,089)	(305,032)
მეკავშირე საწარმოს კაპიტალში შეტანილი ფულადი სახსრები	(13,200)	(8,000)
გაცემული სესხები	(34,000)	-
<i>წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<i>(128,289)</i>	<i>(313,032)</i>
<i>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</i>		
გადახდილი სესხები	(470,908)	(358,251)
გადახდილი პროცენტი	(114,833)	(137,865)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებიდან	8,492	6,317
<i>წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან</i>	<i>(577,249)</i>	<i>(489,799)</i>
წმინდა ფულის მატება/(კლება)	164,347	40,814
წმინდა ფულის მატება/(კლება)	(8,143)	(3,668)
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში	336,409	299,263
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს	492,613	336,409

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 პირითაღი ინფორმაცია და საჭიროება

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისი (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნდა 2005 წელს ქ. თბილისში, საქართველოში და 15/09/2005 იგი ოფიციალურად დარეგისტრირდა თბილისის საგადასახადო ინსპექციაში. კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: დოლიძის ქ. №2, თბილისი, საქართველო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

აქციონერი	წილი
ალექსანდრე ვაშაკიძე (საქართველოს მოქალაქე)	21.25 %
რამაზ აფციაური (საქართველოს მოქალაქე)	21.25 %
საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (საქართველოში დაფუძნებული სამართლებრივი ორგანიზაცია)	21.25 %
კახა ხიზანიშვილი (აშშ-ს მოქალაქე)	15.00 %
ია ფაჩულია (საქართველოს მოქალაქე)	11.25 %
ანდრეა ტოდ დიკსონი (აშშ-ს მოქალაქე)	10.00 %

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისი წარმოადგენს კერძო სკოლას, რომელიც აკრედიტირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და არის ბაქსვუდის სკოლის სრულფასოვანი პარტნიორი.

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა – თბილისს აქვს 80%-იანი წილი შპს აგროტერაში, რომელიც დაფუძნდა 2010 წელს. მიუხედავად ამისა შპს აგროტერა არ ექვემდებარება კონსოლიდირებას, ვინაიდან მას არ აქვს მატერიალური აქტივები ან ვალდებულებები, ასევე ანგარიშგების პერიოდის თარიღისთვის არ ყოფილა რაიმე მატერიალური ოპერაცია ან ფულადი ნაკადების მოძრაობა.

დასაქმებულთა საშუალო რიცხვი 2018 წლის განმავლობაში შეადგენდა 145-ს. (2017: 114 დასაქმებული).

2 შეჯამების საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, სადაც გამოყენებულია ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან დადებული კონტრაქტებიდან და ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტებისაღრიცხვო პოლიტიკაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები აღწერილია შემდგომ შენიშვნებში.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებების გარკვეული ჯგუფების, რომელთა მომზადებულია გადაფასებული ღირებულებით (აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალების გამოკლებით) და ასევე გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი

ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგავლებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2018 წელს, მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა კომპანის წლიურ ანგარიშგებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ჩამონათვალი, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და მიღებულია კომპანიის მიერ, წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	ასახელება	ეფექტური თარიღი
ფასს 9	ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 3.6)	2018 წლის 1 იანვარი
ფასს 15	ამონაგები მომხამრებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (შენიშვნა 3.6)	2018 წლის 1 იანვარი
ბასს 28	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	2018 წლის 1 იანვარი

სტანდარტები, განახლებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ზოგიერთი ახალი სტანდარტი, შესწორება და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაცია, გამოქვეყნებული ბასსს-ს მიერ, ჯერ არაა ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა კომპანიის მიერ. ინფორმაცია, ახალ სტანდარტებზე, შესწორებებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, მოცემულია ქვემოთ.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები:

**ეფექტურია
სააღრიცხვო
წლის
დასაწყისისთვის
ან შემდგომ**

ფასს 16, იჯარა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავდა იჯარის აღრიცხვის ახალი სტანდარტი.	2019 წლის 1 იანვარი
(ა) ახალ სტანდარტს არ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეიჯარეს მიერ იჯარის აღიკვეთაზე. თუმცა, სტანდარტი მოითხოვს რომ მოიჯარემა ბალანსში იჯარა აღიაროს როგორც საიჯარო ვალდებულება აქტივის გამოყენების უფლებასთან კორესპონდენციაში.	
(ბ) მოიჯარე ვალდებულია ყველა იჯარისთვის გამოიყენოს შეფასების ერთნაირი მოდელი, თუმცა მას აქვს უფლება არ აღიაროს იჯარა ფინანსურად მოკლევადიანი იჯარის ან საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულების შემთხვევაში.	
(გ) ჩვეულებრივ, აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის აღიარების მოდელი მსგავსია დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის, სადაც ფინანსური მდგომარეობის უწყისში საპროცენტო და ცვეთის ხარჯები აღიარებულია განცალკევებულად.	
სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ იმავე თარიღისთვის გათვალისწინებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ფასს 16 –ზე გადასვლა შესაძლებელია რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.	
ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015–2017 ციკლი, განახლებები ფასს 3, ფასს 11, ბასს 12 და ბასს 23	2019 წლის 1 იანვარი
ფასიკ 23 ცვალებადობა მოგების გადასახადის მიდგომასთან. ფასიკ 23 ხელმძღვანელობს თუ როგორ აისახება ცვალებადობის ეფექტები მოგების გადასახადის აღრიცხვაში ბასს 12-ის მიხედვით, კერძოდ:	2019 წლის 1 იანვარი
ცვალებადი საგადასახადო მიდგომები ერთობლივად უნდა განიხილებოდეს თუ არა, დაშვებები საგადასახადო ზედამხედველი პირების მიერ ჩატარებული შემოწმებებისთვის, დასაბეგრი მოგების (ზარალის) განსაზღვრა, საგადასახადო ბაზები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო განაკვეთები და ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ეფექტი.	
ცვლილებები ფასს 9-ში, ფინანსური ინსტრუმენტები, დაკავშირებული წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით. აღნიშნული გულისხმობს ფასს 9-ში არსებული მოთხოვნების ცვლილებას შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს ამორტიზებული ღირებულებით შეფასება (ან, ბიზნეს მოდელის მიხედვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში) უარყოფითი კომპენსაციის შემთხვევაშიც კი.	2019 წლის 1 იანვარი
ცვლილება სტანდარტში ბასს 19 დაქირავებულ პირთა კომპენსაციები: ცვლილებები განმარტავს: კომპანია იყენებს განახლებულ აქტუარული შეფასების მეთოდს მიმდინარე მომსახურების ღირებულების და პერიოდში წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის და ახდენს აქტივის ზედა ზღვრის იგნორირებას შეთანხმებასთან დაკავშირებული მოგების	2019 წლის 1 იანვარი

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები:

**ეფექტურია
სააღრიცხვო
წლის
დასაწყისისთვის
ან შემდგომ**

ან ზარალის კალკულაციისას, რაც ცალკე განიხილება სხვა სრულ შემოსავალში.

ცვლილებები ბასს 28-ში, ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებული გრძელვადიან წილის ფლობასთან მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. აღნიშნული ცვლილება განმარტავს, რომ საწარმო რომელიც იყენებს ფასს 9-ს, ფინანსური ინსტრუმენტები, გრძელვადიან წილის ფლობისთვის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, რომელიც ქმნის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში წმინდა ინვესტიციის ნაწილს, კაპიტალის მეთოდი არ გამოიყენება.

2019 წლის 1
იანვარი

ცვლილებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალურ ჩარჩოში შესწორებების შეტანის თაობაზე – ცვლილებები შემდეგი სტანდარტებისთვის ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასიკ 12, ფასიკ 19, ფასიკ 20, ფასიკ 22 და იმკ-32 ეხება მითითებებსა და ციტატებს ახალი ჩარჩოს შესაბამისად, ან მითითებებს იმის შესახებ, სადაც კონცეპტუალური ჩარჩოს სხვა ვერსია გამოიყენება.

2020 წლის 1
იანვარი

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება კომპანიის საანგარიშო პოლიტიკებში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და ერთი ევრო 3.1044 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია იყენებს განსხვავებულ აღრიცხვის მეთოდებს ძირითადი საშუალებების სხვადასხვა ჯგუფებისთვის.

მიწის ნაკვეთებისა და შენობების აქტივად აღიარების შემდეგ ისინი წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების დღისთვის დაგროვილი ცვეთისა და შემდგომ დაგროვილი გაუფასურების ზარალების გამოკლებით.

გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება. მიწისა და შენობების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია ბაზარზე არსებული მტკიცებულებების შესაბამისად პროფესიონალი შემფასებლების მიერ.

სხვა ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწვობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. შენობები, რომლებიც ასევე ეკუთვნის იჯარის მუხლსაც ასევე წარმოდგენილია ძირითად საშუალებებში და წარმოდგენილია როგორც ფინანსური იჯარა. ასეთი აქტივების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის, ან საიჯარო ხელშეკრულების ვადის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწვიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწვილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

მიწა	-
შენობები	20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სკოლის ინვენტარი	5 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შექმნილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზირებული ღირებულება აღიარდება მოგება ზარალში ან ის ემატება აქტივის ღირებულებას წრფივი მეთოდის გამოყენებით არსებული არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3.4 იჯარა

ფასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ღირებულების დაწევის თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირითადი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწევისთანავე.

3.5 მარაგები

მარაგები ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შექენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება. კომპანიის მარაგები ძირითადად შედგება საკანცელარიო ნივთებისგან, საკვებისგან, საწვავისგან და სხვა შერეული მარაგებისგან.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებების აღიარდება, როგორც აღწერილია დაბლა.

3.6.1. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიამ მიიღო ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, გამოშვებული 2014 წლის ივლისში, რომელიც ეფექტური იყო 2018 წლის 1 იანვრისთვის და ამ თარიღის შემდგომი სააღრიცხვო წლისთვის. ფასს 9-ის მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბასს 39-ისგან ფინანსური ინსტრუმენტები:

აღიარება და შეფასება.

ახალი სტანდარტის მიხედვით მნიშვნელოვნად იცლება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის ზოგიერთი ასპექტები.

ფასს 9 მოიცავს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებსაც. ახალი მოთხოვნები გულისხმობს ჰეჯირების აღრიცხვის მეთოდის დაახლოებას რისკების მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან, ჰეჯირებულ საგნებსა და ჰეჯირების ინსტრუმენტებზე არსებული უფლების ზრდით და ჰეჯირების ეფექტიანობის შეფასებისას უფრო მეტად პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის გაჭრობა, კომპანიას შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიამ შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ბიზნეს მოდელის შეფასება:

კომპანია აფასებს ბიზნესმოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, “ძირი” განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჯას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, კომპანია ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილება.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

კომპანია ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომპანია გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის უნდა შეაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია მოელოდა).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
 - აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც კომპანიისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელოდა, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. კომპანია იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშუალო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ჩამოწერა:

კომპანიამ ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როცა კომპანიამ ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს კომპანიის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფასს-ზე გადასვლა:

ფასს 9-ზე გადასვლისას, კომპანიას საშუალება აქვს არ გადაინაგარიშოს წინა წლის მონაცემები. ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად წარმოშობილი სხვაობები დაკავშირებული კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის: თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და შემთხვევების გათვალისწინების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი შეფასებები:

- ბიზნესმოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს.

თუ ფინანსურ აქტივს ჰქონდა დაბალი საკრედიტო რისკი ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, მაშინ კომპანია მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

ფასს 9-ის გამოყენებას ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯერ არ მოუხდენია.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივის სამ პრინციპულ კლასიფიკაციას: შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, შეფასებას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დამოკიდებულია იმ ბიზნესმოდელზე, რომლის ფარგლებშიც კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს. ფასს 9 გამორიცხავს ბასს 39-ის მიხედვით განსაზღვრულ კატეგორიებს დაფარვის ვადების, სესხების და მოთხოვნების და გასაყიდად გამიზნული აქტივების კლასიფიკაციით. ამასთან ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს ბასს 39-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი და მასთან დაკავშირებული შენიშვნები ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცალკეული კლასისთვის განსაზღვრულ კატეგორიებს ბასს 39-ის და ფასს 9-ის შესაბამისად 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის.

ათასი ლარი	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ფასს 9-ის გავლენა	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	1,490,708	(245,945)	1,244,763
ფული და მისი ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	336,409	-	336,409
სულ ფინანსური აქტივები			1,827,117	(245,945)	1,581,172
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,909,509	-	1,909,509
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	540	-	540
სულ ფინანსური ვალდებულებები			1,910,049	-	1,910,049

3.6.2. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.6.3. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთროული განხორციელების შესახებ.

3.7 გაუფასურება

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი იმ შემთხვევაში აღიარდება საწესდებო კაპიტალის ნაწილად, თუ ის ნამდვილად არის შეტანილი აქციონერების მიერ კომპანიაში.

გადაფასების რეზერვი წარმოადგენს მოგებასა და ზარალს გადაფასებული ძირითადი საშუალებიდან.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი მოდელის (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.)

დივიდენდის განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის განაწილება ხდება ან გადახდილია თუ არა დივიდენდი. გადასახადის განაკვეთი არის ნეტო თანხის 15/85.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.10 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლებს, ძირითადად შეადგენს შპს ბაქსეულის საერთაშორისო სკოლა – თბილისის მოსწავლეების მიერ გადახდილი გადასახდელები.

სწავლის საფასური ნაჩვენებია მთლიანი თანხით მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

ფასს 15-ის მიღების ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე

სწავლის საფასურის გადახდებიდან მიღებული შემოსავალი თავდაპირველად აღიარდება, როგორც მოთხოვნა და ამასთანავე, როგორც გადავადებული შემოსავალი, რომელიც აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მას შემდეგ რაც გაფორმდება ხელშეკრულება მოსწავლეების მშობლებთან და სავარაუდოდ რომ კომპანია მიიღებს სწავლის გადასახადს. მას შემდეგ როცა მოსწავლეებს მიეწოდებათ მომსახურება, გადავადებული შემოსავალი შემდგომში აღიარდება მოგება ზარალის უწყისში, როგორც პერიოდის შემოსავალი.

სწავლის საფასურის გადახდებიდან მიღებული შემოსავალი, აღიარდება დროის განმავლობაში, მაშინ როცა სკოლა დააკმაყოფილებს ვალდებულებას, რომელიც მოიცავს შპს ბაქსეულის საერთაშორისო სკოლა – თბილისის მოსწავლეების სალექციო კურსებისა და გამოცდების ჩატარების მომსახურების მიწოდებას.

ფასს 15-ის მიღების შემდეგ კომპანია აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას მიღებული თანხების საფუძველზე რომელიც დაკავშირებულია შესასრულებელ ვალდებულებასთან და აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ვალდებულებისთვის, რაც ასევე სრულდება.

თავდაპირველად, კომპანია აღიარებდა შემოსავალს ორჯერ სასწავლო წლის განმავლობაში, თითოეული სემესტრის დასაწყისში. კომპანია იღებს სწავლის საფასურის ძირითად ნაწილს სემესტრის დაწყებამდე, ამასთან იგი აღიარებს მიღებულ ავანსს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც მიღებული აქვს შეუსრულებელი ვალდებულების სანაცვლოდ.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს მატერიალური გავლენა საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და შემოსავლების ოდენობაზე, რადგან აღნიშნული უმეტესად გულისხმობს ცვლილებებს პრეზენტაციის თვალსაზრისით. ხელმძღვანელობის მიერ არ გატარებულა არანაირი კორექტირება მანამდე წარდგენილ ციფრებთან მიმართებაში ფასს 15-ზე გადასვლასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული ცვლილება არამატერიალურად იქნა მიჩნეული.

3.11 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	სკოლის ინვენტარი	იჯარა	სულ
<i>ღირებულება</i>						
2017 წლის 1 იანვარი	1,045,608	1,941,800	1,544,233	365,761	160,667	5,058,069
მატება	-	554,023	137,682	84,560	-	776,265
კლება	-	-	(7,219)	-	-	(7,219)
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	1,045,608	2,495,823	1,674,696	450,321	160,667	5,827,115
მატება	-	210,797	177,343	109,982	17,843	515,965
კლება	-	-	-	(35,031)	-	(35,031)
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,045,608	2,706,620	1,852,039	525,272	178,510	6,308,049
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>						
2017 წლის 1 იანვარი	-	(532,028)	(600,243)	(246,796)	(15,216)	(1,394,283)
წლის ცვეთა	-	(112,224)	(122,602)	(55,057)	(28,282)	(318,165)
კლების შედეგად კორექტირება	-	-	5,509	-	-	5,509
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(644,252)	(717,336)	(301,853)	(43,498)	(1,706,939)
წლის ცვეთა	-	(133,607)	(148,306)	(58,474)	(28,520)	(368,907)
კლების შედეგად კორექტირება	-	-	-	12,411	-	12,411
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(777,859)	(865,642)	(347,916)	(72,018)	(2,063,435)
<i>საბალანსო ღირებულება</i>						
2017 წლის 31 დეკემბერი	1,045,608	1,851,571	957,360	148,468	117,169	4,120,176
2018 წლის 31 დეკემბერი	1,045,608	1,928,761	986,397	177,356	106,492	4,244,614

3,353,076 ლარის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დატვირთულია იპოთეკით. (2017 წლის 31 დეკემბრის: 3,377,332 ლარი).

მიწა და შენობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, შემდგომი აკუმულირებული ცვეთისა და გადაფასების ზარალების გამოკლებით. მიწა და შენობები ბოლოს შეფასებული იყო 2011 წლის 31 დეკემბრისთვის დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, გასაყიდი შესაძარის ფასების, ღირებულების და შემოსავლების კაპიტალიზაციის მიდგომით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მომხდარა საბაზრო მდგომარეობის ან სხვა ფაქტორების მატერიალური ცვლილება, რასაც შეეძლო გამოეწვია აქტივების ხელახალი შეფასება.

5 მოთხოვნები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მისაღები სწავლის საფასური	783,635	1,470,958
სხვა მოთხოვნები	32,200	19,750
	815,835	1,490,708
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (იხილეთ შენიშვნა 16 (ბ))	(204,308)	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	611,527	1,490,708

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიანი ღირებულების მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა მოიცავს დაახლოებით 30-120 დღეს, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. კომპანიის ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადის შესაფასებლად იყენებს თავის გამოცდილებასა და მოსალოდნელ სამომავლო შედეგებს. ფაქტობრივი დაფარვის ვადის კოეფიციენტები შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიმდინარე შეფასებებისგან.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში განხილულია გუფასურების მაჩვენებლებზე. გადახდილია გაუფასურებაზე შესადარის პერიოდებში.

შენიშვნა 16 (ბ) შეიცავს განმარტებებს რისკებზე და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებულ გაუფასურების ანალიზზე.

მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 16-ში.

6 გაცემული ავანსები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გადახდილი ავანსები თანამშრომლებზე	98,755	110,641
გადახდილი ავანსები	97,264	12,152
გადახდილი ავანსები მომწოდებლებზე	156,804	123,423
	352,823	246,216

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	147,046	28,861
საბანკო ანგარიშები	345,567	307,548
	492,613	336,409

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ექვივალენტები იხილეთ შენიშვნა 16-ში.

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის კაპიტალი სრულად გადახდილია. აქციონერების საერთო კრება უფლებამოსილია განსაზღვროს დივიდენდი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით.

8.2 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიქმნება მიწისა და შენობების გადაფასების დროს.

9 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	278,484	335,304	1,133,832	1,509,336
სესხები ფიზიკური პირებისგან	69,014	64,869	-	-
	<u>347,498</u>	<u>400,173</u>	<u>1,133,832</u>	<u>1,509,336</u>

კომპანიამ გააფორმა სასესხო ხელშეკრულება პრო-კრედიტ ბანკთან 2015 წლის 29 დეკემბერს 415,000 აშშ დოლარის 10 წლიან სესხზე, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს 7%-ს და ასევე იმავე თარიღში სხვა 7-წლიან სესხის ხელშეკრულებაზე 600,000 აშშ დოლარის ოდენობით და წლიური განაკვეთით 7%-ში. კომპანიის მიწა და შენობები, ასევე სკოლის ავტობუსები ჩადებულია სესხის უზრუნველყოფაში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ექვივალენტები იხილეთ შენიშვნა 16-ში.

10 საზაფხულო სკოლის ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
თვითმფრინავის ბილეთები	132,274	28,527
პასპორტები და ვიზები	27,376	16,914
გარე საქმიანობები	36,694	17,180
მივლინებები და გაბთავების დანახარჯები	62,043	3,277
ინგლისური ენის ტრენინგის ხარჯი	182,558	-
	<u>440,945</u>	<u>65,898</u>

11 სხვა საერთო ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სხვა საოფისე ხარჯები	83,847	73,737
დაზღვევა	57,339	45,127
რემონტის და კეთილმოწყობის ხარჯი	30,950	34,795
საგანმანათლებლო მივლინების ხარჯი	-	27,750
მივლინების ხარჯი	26,518	6,837
საგანმანათლებლო აქტივობები	21,063	26,700
საბუღალტრო ხარჯები	34,745	13,200
საბანკო ხარჯები	1,559	6,994
საკომუნიკაციო ხარჯი	6,764	6,619
რეკლამის ხარჯი	86,253	2,329
ოფიცრების მომსახურება	493	1,035
სხვა საერთო ხარჯები	235,847	121,474
	585,378	366,597

12 საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი:		
ფული და მოთხოვნები	(22,592)	92,949
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებებით	(42,702)	54,723
	(65,294)	147,672

13 შიდაგროში მოვლენები

ანგარიშგების მომზადების თარიღის შემდეგ, კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგნაირად შეიცვალა:

აქციონერი	წილი
სს საქართველოს კაპიტალი	80.00%
რამაზ აფციაური	10.00%
ალექსანდრე ვაშაკიძე	10.00%

14 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

14.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და

ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

15 ფინანსური ინსტრუმენტები

15.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების, ასევე კაპიტალის ინსტრუმენტების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

15.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ლარი

<i>ფინანსური აქტივები</i>	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	611,527	1,490,708
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	492,613	336,409
გაცემული სესხები	34,000	-
	1,138,140	1,827,117

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით:

სესხები	1,481,330	1,909,509
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	80,599	540
	1,561,929	1,910,049

16 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ფინანსური რისკის ფაქტორები**ა) საბაზრო რისკი**

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკი, როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებისგან.

სავალუტო რისკი

კომპანიის ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები გამოწვეულია ამერიკული დოლარსა და ბრიტანულ ფუნტში არსებული კლიენტებთან გაფორმებული შესყიდვების ხელშეკრულებებისგან. კომპანიას ასევე აქვს ამერიკულ დოლარში დენომინირებული სესხი.

უცხოურ ვალუტაში არსებული აქტივები და ვალდებულებები, კომპანიას აყენებს სავალუტო რისკის წინაშე, რომელიც განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული კურსით:

ერთეული**2018 წლის 31 დეკემბერი**

	დოლარი	ფუნტი	ევრო
ფინანსური აქტივი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	698,469	-
ფული და ფულის ექვივალენტები	40	-	-
	40	698,469	-
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	1,411,599	-	69,014
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,802	-	-
	1,413,401	-	69,014
წმინდა პოზიცია	(1,413,361)	698,469	(69,014)

ერთეული**2017 წლის 31 დეკემბერი**

	დოლარი	ფუნტი	ევრო
ფინანსური აქტივი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	771,939	-
ფული და ფულის ექვივალენტები	234	19,236	-
	234	791,175	-
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	1,844,640	-	64,869
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	109,280	1,663	-
	1,953,920	1,663	64,869
წმინდა პოზიცია	(1,953,686)	789,512	(64,869)

ცხრილი ასახავს დოლარისა და ევროს მიმართ ლარის 10% (2017: 10%) კლება/მატების გავლენას ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში, ასევე ფუნტსა და ევროზე 10% (2017: 10%), რაც წარმოადგენს მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილებას გაცვლით კურსებზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი (2017: 10%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ფუნტთან მიმართებაში 10%-ით (2017: 10%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ფუნტის გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება/(ზარალი)	141,344	195,369	(69,847)	(79,284)
	141,344	195,369	(69,847)	(79,284)

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია იღებს სესხებს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთით, ამიტომ საბაზრო საპროცენტო რისკი მისთვის უმნიშვნელოა. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების შერევით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
გაღებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან		
აშშ დოლარი	7.00 %	7.23 %
სესხები ფიზიკური პირებისგან		
ევრო	13.50 %	13.50 %
2017		
2017	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
გაღებულებები		
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან		
აშშ დოლარი	7.00 %	7.23 %
სესხები ფიზიკური პირებისგან		
ევრო	13.50 %	13.50 %

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფურ ბაზაზე კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან და დეპოზიტებთან ბანკში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

მოთხოვნების საკრედიტო ვადა მერყეობს 30 დან 120 დღემდე. მომხმარებლებისთვის საკრედიტო ვადა, დამოკიდებულია შიდა დასტურის პროცესზე. მიმდინარე საკრედიტო რისკი რეგულირდება ხანდაზმულობის ანალიზით, თითოეული მომხმარებლების საკრედიტო ღირებულების შესაბამისად.

კომპანიას არ აქვს უზრუნველყოფა სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მიუხედავად არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით და აგრეთვე მომხმარებლების მიხედვით – ფიზიკურ პირებად ან კორპორატიულ კლიენტებად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 12 თვით მანძილზე 2018 წლის 31 დეკემბრამდე და 2018 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ იყო მინეული მნიშვნელოვანად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარება წყდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მოთხოვნების აღდგენის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოთხოვნების ანგარიშებისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

2018 წლის 31 დეკემბერი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
მიმდინარე	0%	2,356	-
0-დან 30 დღემდე	8.63%	429,170	37,057
31-დან 90 დღემდე	0%	4,500	-
91-დან 180 დღემდე	0%	1,588	-
181-დან 360 დღემდე	20.53%	177,329	36,404
361 დღეზე მეტი	65.13%	200,893	130,847
სულ	25.04%	815,836	204,308

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის ანარიცხის საბოლოო ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ედრება სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხის საწყის ბალანსს, როგორც ნაჩვენებია:

ლარი

	2018
ზარალის ანარიცხი 1 იანვრისთვის დათვლილი ბასს 39-ის მიხედვით	-
გადაანგარიშებული თანხა საწყისი გაუნაწილებელი მოგების გავლით	245,945
ზარალის ანარიცხი 2018 წლის 1 იანვრისთვის	245,945
ზარალის ანარიცხი აღიარებული წლის განმავლობაში	73,460
წლის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	(115,098)
ანარიცხის ზარალი 31 დეკემბრისთვის	204,308

ვ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარტული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		10.37%	
6 თვეზე ნაკლები	80,599	184,188	264,787
6 თვიდან 1 წლამდე	-	184,188	184,188
1-5 წლამდე	-	1,287,205	1,287,205
5 წელზე მეტი	-	-	-
	80,599	1,655,581	1,736,180

2017

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		10.37%	
6 თვეზე ნაკლები	540	305,245	305,785
6 თვიდან 1 წლამდე	-	227,301	227,301
1-5 წლამდე	-	1,684,863	1,684,863
5 წელზე მეტი	-	67,237	67,237
	540	2,284,646	2,285,186

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

17 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

18 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს ფუნქციონირება და აქციონერებისთვის შესაბამისი ამონაგების ჩვენება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება დედა კომპანიის აქციონერებისგან და დაგროვილი მოგება/ზარალისგან, რომელიც ასევე შეიცავს სესხს (შენიშვნა 9).

მმართველობა უზრუნველყოფს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს, რათა განაგრძოს ეფექტური ფინანსირების სტრუქტურა და თავიდან აიცილოს დიდი სესხები. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეებს. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და აკეთებს კორექტირებას აქტივებზე ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს, ან დააკორექტიროს კაპიტალი, კომპანიას შეუძლია ჩაასწოროს გაცემული დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივი რათა შეამციროს ვალი.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის გადასახედად, არის შემდეგი:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	2,099,934	1,859,577
გამოკლებული: ფული და საბანკო ანგარიშები	(492,613)	(336,409)
კაპიტალი	1,607,321	1,523,168
მთლიანი კაპიტალი	2,099,934	1,859,577
სესხები	1,481,330	1,909,509
სრული მოზიდული სახსრები	3,581,264	3,769,086
კაპიტალის თანაფარდობა სრულ მოზიდულ სახსრებთან	0.45	0.40

19 განუსაზღვრელობები

19.1 ბიზნეს გარემო

საქართველო ჯერ კიდევ განიცდის პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ზეგავლენას. განსხვავებით თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისგან, საქართველოს განვითარებადი ბაზარი არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. სამომავლო ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი

დონე, ცენტრალიზებულ ეკონომიკურ ბაზასთან, რეგიონულ არასტაბილურობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

საქართველოს მოკავშირე ქვეყნებში ეკონომიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია ქვეყანას უცხოეთიდან შემოდინებული თანხების შემცირებისკენ უბიძგებს, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე. მომავალში სასარგებლო წიაღისეულზე ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებულმა განუსაზღვრელობებმა და ინფლაციამ შესაძლოა გააუარესოს როგორც ქვეყნის, ისე კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მაჩვენებლები მრავლადაა, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებს ექნება გავლენა.

კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ მიმდინარე მდგომარეობა შესაფერისად არის ასახული კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

19.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ფარგლებში დაზღვეულია მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობაც. კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს უძრავი ქონება. კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

19.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ამ ფაქტორებმა შეიძლება საქართველოში უფრო მეტი საგადასახადო რისკი გამოიწვიოს, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

20 ფინანსური საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები შესაძლოა კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ლარი	სულ
2018 წლის 1 იანვარი	1,909,509
ფულადი ნაკადები	
ძირის დაფარვა	(470,908)
პროცენტის დაფარვა	(114,833)
არაფულადი	
საპროცენტო ხარჯი	118,624
კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)	38,938
2018 წლის 31 დეკემბერი	1,481,330

21 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა დანარჩენი, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

21.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის წილს ფლობს 5 ფიზიკური პირი და ერთი იურიდიული პირი, რომელთაგან არც ერთი არ არის მაკონტროლებელი პირი. იხილეთ აქციონერთა სია ამ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 1-ში.

21.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობამ მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია თანამშრომლების ანაზღაურებაში.

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ხელფასი და სხვა პრემიები	189,571	191,175

22 ფინანსური ანგარიშგების შესაღარი ინფორმაციის გადაანგარიშება

2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა არასწორი წარდგენა უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მისაღებ სწავლის გადასახადთან, ასევე საექსპო მოთხოვნების ანარიცხებთან და ქონების გადასახადთან 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისად კომპანიამ გადაიანგარიშა ეს ინფორმაცია შეცდომის გამოსწორების მიზნით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ყველა კორექტირებას, რომელიც შეტანილი იყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასევე 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი		
	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	შესწორებული
საოპერაციო გადასახადები	61,429	(85,852)	(24,423)
გაველენა მთლიან აქტივებზე	61,429	(85,852)	(24,423)
აკუმულირებული მოგება	192,814	(85,852)	106,962
სულ	192,814	(85,852)	106,962
ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი		
	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	შესწორებული
დებიტორული დავალიანებები	1,600,404	(109,696)	1,490,708
საოპერაციო გადასახადები	90,366	(114,316)	(23,950)
სულ	1,690,770	(224,012)	1,466,758
აკუმულირებული მოგება	1,264,749	(224,012)	1,040,737
სულ	1,264,749	(224,012)	1,040,737

მოგება-ზარალის ანგარიშგება

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი		
	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	შესწორებული
საექსპო მოთხოვნების ხარჯი	(206,614)	(109,696)	(316,310)
სხვა საერთო ხარჯები	(338,133)	(28,464)	(366,597)
გაველენა პერიოდის შედეგზე	(544,747)	(138,160)	(682,907)